

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირმა კოკოლაშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების
პალინოსტრატიგრაფია

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2011 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის
გეოლოგიის დეპარტამენტის
გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის მიმართულებაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თამაზ ლომინაძე, ირინე შატილოვა

რეცენზენტები: გ.მ.მ.დ. ელისო ყვავაძე -----
გ.მ.მ.კ. კახაბერ ქოიავა -----

დაცვა შედგება 2011 წლის ”19” აპრილს, 15 საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის №15 სხდომაზე,
კორპუსი III, აუდიტორია №334
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა – სტუ-ს ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი ----- დ. თევზაძე

შმსაგალი

თემის აქტუალობა და სამუშაო მიზანი. კვლევის მიზანი იყო ქართლისა და ქახეთის სარმატული ნალექების პალინოლოგიური შესწავლა, მცენარეული საფარისა და კლიმატის რეკონსტრუქცია, ისტორიული განვითარების ეტაპების გამოყოფა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების უფრო წვრილ სტრატიგრაფიულ ერთეულებად დანაწილების საშუალებას მოგვცემდა. მიღებულ შედეგებს ექნება როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა და შეიძლება გამოყენებული იქნან მსხვილმასშტაბიანი გეოლოგიური აგეგმვისას, ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოების ჩატარებისას, შემცველი ნალექების ასაკის განსაზღვრისა და პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციისათვის.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. სტრატიგრაფიული საკითხების გადაწყვეტისას დღეს ფართოდ გამოიყენება პალინოლოგიური მეთოდი, რომლის კვლევის ობიექტია დანალექ ქანებში განამარხებული მცენარეთა სპორები და მტვრის მარცვლები. ამ მეთოდის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ პალინომორფები პრაქტიკულად ჭრილის ყველა შრეში გვხვდება. პალინოკომპლექსების შემადგენლობის ცვლილებები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ხმელეთის ფიტოცენოზების განვითარების თითქმის სრულ სურათს ამა თუ იმ ნალექების აკუმულაციის განმავლობაში და გამოვყოთ მათი განვითარების ეტაპები, რაც, თავის მხრივ, პალინოსტრატიგრაფიის საფუძველს წარმოადგენს.

სპორები და მტვრის მარცვლები ხშირად გვხვდება ნალექებში, რომლებშიც სხვა ორგანული ნაშთები არ არის. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფაუნისტური ნაშთები მოიპოვება, პალინოლოგიურ მონაცემებს გარკვეული კორექტივები შეაქვს: 1. პალეოგეოგრაფიული გარემოს რეკონსტრუქციაში, 2. კონტინენტური ნალექების დანაწილებაში; 3. განსხვავებული ფაციესების (წყებების) კორელაციაში; 4. ჭაბურლილების გეოლოგიური ჭრილების დანაწილებაში. ეს განპირობებულია იმით, რომ, განსხვავებით ზღვიური ფაუნისაგან, პალინოლოგიური მონაცემები ასახავს ხმელეთის ფიტოცენოზების ცვლილებებს კლიმატური ფლუქტაციების ზეგავლენით.

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების მოლუსკური ფაუნა საქმაოდ დეტალურად არის შესწავლილი. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა აგრეთვე ნაშრომები სარმატული ნალექების მიკროფაუნისტური კვლევების შესახებ. რაც შეეხება პალეობოტანიკურ მონაცემებს, უკანასკნელ ხანებამდე ჩვენი წარმოდგენები აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფლორისა და მცენარეულობის შესახებ მხოლოდ მცენარეთა მსხვილი ნაშთების შესწავლით შემოიფარგლებოდა.

მეცნიერული სიახლე. აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექები პალინოლოგიურად პირველადაა შესწავლილი, აქამდე არსებობდა მხოლოდ ცნობები ქართლის შუასარმატული პალინოლოგიური კომპლექსების შესახებ. პირველად არის გამოყენებული პალინოლოგიური ანალიზის შედეგები ქართლის და კახეთის სარმატული ნალექების კორელაციისა და სტრატიგრაფიული დანაწილებისათვის. რაც შეეხება კახეთს, პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო რეგიონს, რამდენადაც მასთანაა დაკავშირებული ნავთობის სამრეწველო მნიშვნელობის მარაგები, იგი პალინოლოგიურად ჩვენს მიერ პირველად იქნა შესწავლილი.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია შესავლის, 5 თავის, რეკომენდაციების და ნაბეჭდი 173 გვერდისაგან. ნაშრომში მოტანილია აგრეთვე 8 ცხრილი, 19 ნახაზი, 4 გეოლოგიური ჭრილი და 19 ფოტოტაბულა. გამოყენებული ლიტერატურის სია შესდგება 79 დასახელებისაგან.

თავი I

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების გეოლოგიური დანართი

სარმატული ნალექები ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში და წარმოდგენილია სამივე ქვესართულით: ვოლინურით (ქვედა), ბესარაბიულით (შუა) და ხერსონულით (ზედა). ფაციესური თავისებურებების და ნალექების სიმძლავრეების მიხედვით, დ. ბულეიშვილი გამოჰყოფს სარმატული წარმონაქმნების გავრცელების 4 განცალკე-

გებულ – ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის ანუ მზკვრისპირა და ცენტრალურ ანუ დეპრესიულ ზოლებს.

ქვედასარმატული ძირულის მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ძირითადად წარმოდგენილია მცირე სიმძლავრის (50-90 მ) სანაპირო-წყალმარჩხი ნალექებით და კარგად არის დახასიათებული ფაუნით, რომელშიც უხვადაა *Donax, Mactra, Syndesmya*-ს გვარების წარმომადგენლები.

დ. ბულეიშვილის მონაცემებით, ყველაზე დამახასიათებელი ჭრილებია მდ. ლოპანის დელის გასწვრივ, სოფ. სოფ. კარალეთთან და არა-დეთთან, სადაც ქვედასარმატული წარმოდგენილია მოცისფრო-ნაცრისფერი, მომწვანო-ნაცრისფერი თიხების და მოყვითალო-ნაცრისფერი კვარციანი ქვიშების მორიგეობით, რომლებშიაც გვხვდება თიხიანი კირქვების და კონგლომერატების შუაშრეები.

ქართლის დეპრესიის ჩრდილოეთ კიდეზე ქვედასარმატული შრეები თანხმობით ადევს კონკურს და აგებულია ღრმა ზღვისთვის დამახასიათებელი ტერიგენული ქვიშიან-თიხიანი ნალექებით. აქ მათი მაქსიმალური სიმძლავრე 250-300 მ-ს აღწევს.

ქვედა სარმატულს სხვაგვარი ხასიათი აქვს ქართლის დეპრესიის სამხრეთ ნაწილში, სადაც იგი წარმოდგენილია სანაპირო ნალექებით: მიკროკომგლომერატებით, ქვიშაქვებით და თიხებით.

გორი-კასპის ზოლში ყველაზე საინტერესოა ნადარბაზევის ჭრილი, სადაც ქვედასარმატული ძირითადად წარმოდგენილია მოცისფრო-ნაცრისფერი ქვიშიანი თიხებით, ქვიშაქვებით და ოოლითური კირქვებით – ლუმაშელის შუაშრეებით. ჭრილის ყველა შრე შეიცავს მდიდარ მოლუსკურ ფაუნას.

აღმოსავლეთით, ქვედა სარმატულის სრული ჭრილი გაიდევნება მდ. არაგვის ხეობაში (ბებრისციხის მიმდებარე ტერიტორია). ლითოლოგიურად ნალექები წარმოდგენილია თიხიანი ქანებით, კირქვებით, ლუმაშელის ხშირი შუაშრეებით. ფაუნისტურად ჭრილი კარგად არის დახასიათებული: *Mactra eichwaldi* Lask., *Tapes vitalianus* Orb., *Modiola sarmatica* Gat., *Cardium* sp., *Syndesmya reflexa* Eichw., *Mactra andrusséovi* Koles., *Tapes naviculatus* (R. Hoern.) Andrus. ქვედასარმატულის სიმძლავრე მდ. არაგვის ხეობაში დაახლოებით 100მ-ია.

უფრო აღმოსავლეთით ქვედასარმატული ნალექები უწყვეტ ზოლა-და გავრცელებული მდ. იორამდე და აგებულია საკმაოდ დრმა ზღვის ნალექებით, რომელთა საერთო სიმძლავრე 250-300 მ-ია.

აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ყირიმ-კავკასიის ოლქის სხვა რეგიონებში, ქვედა სარმატული იყოფა ორ ნაწილად: ქვედა და ზედა. პ. ქოიავამ ფორამინიფერების მიხედვით გამოჰყო *Varidentella reusi*-სა და *Elphidium aculeatum*-ს შემცველი შრეები.

შეა სარმატულის დასაწყისში პალეოგეოგრაფიულ ვითარებასა და ტექტონიკურ რეჟიმში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ზღვამ რამდენადმე უკან დაიხია ჩრდილოეთისკენ, რაც გამოიხატა შეასარმატული ნალექების ტრანსგრესიული განლაგებით კახეთის ქადის სამხრეთ ფერდობზე.

ქართლის დეპრესიის ჩრდილოეთ კიდეზე შეა სარმატული თანხმობით ადევს ქვედას. ჭრილის ქვედა ნაწილი წარმოდგენილია თიხებით და ქვიშაქვებით ე. წ. “კრიპტომაკტრებიანი შრეებით”, რომლებიც მრავალ ჭრილშია დაფიქსირებული, ხოლო ზედა ნაწილი კი – ქვიშაქვებით, თიხებით და კონგლომერატებით. შეასარმატული ნალექები ფაუნისტურად კარგად არის დახასიათებული: *Modiola sarmatica* Gat., *Donax detiger*, *Mactra fabreana* Orb., *Mactra georgei* Bail., *Trochus* sp., *Barbotella omaliusii* Orb. და სხვ. მათი საერთო სიმძლავრე მერყეობს 350–1000 მ-დება.

დ. ბულეიშვილის ნაშრომში მოტანილია შეასარმატული ნალექების აღწერა, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მცხეთამდე და უფრო აღმოსავლეთითაც. შედარებით სრული ჭრილები გვხვდება სოფ. არადეთთან, სადგ. სკრასთან, ნადარბაზევის ხევში, მდ. არაგვის ნაპირზე. აღნიშნულ ჭრილებში შეასარმატული ნალექების სიმძლავრე მერყეობს 130-დან 350 მ-მდე.

აღმოსავლეთით შეასარმატულის სიმძლავრე იზრდება და მდ. იორის ხეობაში აღწევს 1200 მ-ს. დ. ბულეიშვილის მონაცემებით, სამხრეთ კახეთის ივრისპირა ზოლში შეასარმატული მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად: ქვედა – კრიპტომაკტრებიანი შრეების თიხიანი დასტა და ზედა – მარჩხი წყლის ქვიშიან-თიხიანი შრეები, რომლებიც დახასიათებულია ფართოდ გავრცელებული შეასარმატული ფორმებით. მანვე აღწერა

მარჩხის წელის ნალექების ტიპური ჭრილები უსახელოდელეს ხევში, სა-დაც ეს წარმონაქმნები განლაგებულია კრიპტომაკტრებიანი შრეების ზემოთ. თიხებისა და ქვიშაქვების გარდა, რომელთა საერთო სიმძლავრე აღწევს 200 მ-ს, ჭრილში გვხვდება ოოლითური კირქვების 7 ფენა. აღ-მოსავლეთით, ბაიდისხევში ქვიშაქვებისა და კირქვების შრეების რაოდე-ნობა და სიმძლავრე მცირდება; უფრო აღმოსავლეთით, 2 კმ-ში, დათ-ვისხევში მთელი ჭრილი წარმოდგენილია ე.წ. ჩობანდალის წყების თი-ხებით.

შუასარმატულის მეორე ნახევრიდან იწყება ტექტონიკური მოძრაო-ბების გააქტიურება, რაც იწვევს ცვლილებებს პალეოგეოგრაფიაში. ამ დროიდან იწყება ზღვური აუზის გამარჩხება, მისი ზომების შემცირება და თიხიანი ფაციესების შეცვლა თხელი ზღვის უხეშმარცვლოვანი ნა-ლექებით. შუასარმატულის დასასრულს გაძლიერებული აღმავალი ტექ-ტონიკური მოძრაობების გამო მოხდა შუასარმატული ზღვის მნიშვნე-ლოვანი უკანდახევა აღმოსავლეთის მიმართულებით. შედეგად მთელი ქართლის დეპრესია, ცივგომბორის ქედის სამხრეთი ფერდობი და გარე-კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კონტინენტური ნალექების დაგროვების ოლქად გადაიქცა. აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ზღვის დანაწევრება ცალკეულ აუზებად-ტბებად, რომ-ლებიც იზოლირებული ან ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული იყვნენ.

ქართლის დეპრესიაში ზედა სარმატულს მიეკუთვნება ე. წ. ნაცხო-რის წყების კონტინენტური ქვიშიან-თიხიანი ნალექების მძლავრი და-სტები კონგლომერატების შუაშრეებით, რომელთა სიმძლავრე მერყეობს 3000-დან-2500 მ-მდე. ნალექების ეს წყება ფართოდაა გავრცელებული ქართლის დეპრესიის კიდეებზე, სადაც მონაწილეობს უმეტესი ნაოჭების აგებულებაში. დ. ბულეიშვილის აზრით, ამ ნალექებითაა შევსებული ქა-რთლის მთელი დეპრესიული ნაწილი.

ნაცხორის წყება ფართოდაა გავრცელებული მტკვრისპირა ზოლში. დაწყებული მდ. დასავლეთ ფრონედან, ისინი უწყვეტ ზოლად ვრცელდუ-ბიან მდ. არაგვამდე. როგორც დ. ბულეიშვილი აღნიშნავს, ამ რეგიო-ნის ნალექებისთვის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მო-წითალო თიხების გამოჩენა, რომლებიც თანხმობითაა განლაგებული

ფაუნისტურად შუასარმატულად დათარიღებულ შრეებზე. მათი სიმძლავრე იზრდება დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ. ქართლის დეპრესიის სამხრეთ კიდეზე ნაცხორის წყების ჭრილები გვხვდება სოფ. სოფ. სკრასთან, ტინისხიდთან, გორი-კასპის ზოლში, კვერნაკისა და ნადარბაზევის ქედების სამხრეთ ფერდობებზე, სადაც წყების საერთო სიმძლავრე აღწევს 1400-1500 მ-ს.

ნადარბაზევის ხევის ჭრილში, ფერად თიხებში, დ. ბულეიშვილმა აღწერა შუასარმატული ფაუნით მდიდარი ოოლითური კირქვის შრეები, და ეს დასტა შუასარმატულს მიაკუთვნა. ავტორის მოსაზრებით, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ კონტინენტური რეჟიმი მთლიანობაში ჩამოყალიბდა შუასარმატულში, თუმცა ზოგიერთ უბანზე ზღვიური პირობები გაგრძელდა.

აღმოსავლეთით, მტკვრისპირა ზოლში, ნაცხორის წყების ნალექები შიშვლდებიან მდ. არაგვის ხეობაში, მცხეთასთან. დ. ბულეიშვილი მას ლითოლოგიურად ორ ნაწილად ჰყოფს: ქვედა-თიხიან-ქვიშიანი, თიხების მნიშვნელოვანი პრიმატით და ზედა-ქვიშიან-თიხიანი, ქვიშაქვების მომეტებული მნიშვნელობით.

რამდენადმე განსხვავებულია ზედასარმატული ნალექები კახეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე. აქ, დ. ბულეიშვილის მონაცემებით, ისინი წარმოდგენილი არიან კონტინენტური ფაციესით და ისინი, ლითოლოგიური შემადგენლობის მიხედვით, მკაფიოდ იყოფა ორ წყებად. სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, გომბორი-ჟატი-მანავის ზოლში ზედასარმატული წარმოდგენილია თიხიან-ქვიშიანი ნალექებით, ზედა ნაწილში კონგლომერატების იშვიათი შუაშრეებით. მანავისხევის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთით ეს წყება იცვლება კონგლომერატებით და თიხებით. აქ ზედასარმატულის სიმძლავრე არ აღემატება 1000-1200 მ-ს. ამ ნალექების სიმძლავრე ყველაზე ზუსტად იზომება თიხიან-ქვიშიანი ფაციესის გაგრცლების ზოლში. სადაც ზედა სარმატის ქვედა საზღვარი აღვილად დგინდება შუა სარმატული ფორმების გაქრობით, ხოლო ზედა საზღვარი კი პლიოცენურის მძლავრი კონგლომერატების გამოჩენით. სამხრეთ კახეთის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში (უდაბნო, ნაცვალწყალი და სხვ) ზედასარმატული ასევე წარმოდგენილია ელდარის წყების მტკნარი წყლის კონტინენტური ფერადი თიხები ქვიშაქვების შუაშრეებით და კონგლო-

მერატებით (ეს დასტა ხასიათდება მხოლოდ მტკნარი წყლის და ხმელე-თის გასტროპოდებით). სამხრეთ-აღმოსავლეთით ნალექების ხასიათი სხვაგვარია და ჭრილების ქვედა ნაწილში ფერადი თიხები იცვლება ზღვიური ქვიშიან-თიხიანი ნალექებით, რომლებშიაც გვხვდება მაკტ-რების ფაუნა.

ზედასარმატული ნალექების გავრცელების მეორე ზოლი გრძელდება ჩობანდაღის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე. შემდგომში შრეების გამოსავლები დებულობენ ჩრდილო-აღმო-სავლეთ მიმართულებას და მცირე ხარვეზის შემდეგ ჩნდებიან მდ. იო-რის მარცხენა ნაპირზე.

უდაბნოს რაიონში ზედა სარმატული მთლიანობაში წარმოდგენილია ელდარის წყების ამგებელი ფერადი კონტინენტური ნალექებით. ლითოლოგიურად წყება ორ ნაწილად იყოფა: ქვედა-ქვიშაქვიანი და ზე-და-თიხიანი. მდ. მდ. ალანდრისხევის და დიბზისხევის შეერთების ადგილას ზედასარმატულის ქვედა ნაწილში ჩნდება ზღვიური ქვიშაქვები, მა-კტრების დამახასიათებელი ფაუნით. ამ ზღვიური ქვიშაქვების სიმძლა-ვრე, რომლებიც დასავლეთით იცვლებიან კონტინენტურ თიხებით, არ აღემატება 30-40 მ-ს. ლითოლოგიურად ზღვიური ნალექები ძალიან ჰგავს მის ქვეშმდებარე შუასარმატულის ქვიშაქვებს და მხოლოდ მდი-დარი შუასარმატული ფაუნის გაქრობა და მაკტრების გამოჩენა გვაძლ-ებს საფუძველს გავატაროთ ზედა სარმატულის ქვედა საზღვარი. დ. ბუ-ლეიშვილის მონაცემებით, შრეების ანალოგიური თანამიმდევრობა გაი-დაგნება კიდევ რამოდენიმე ჭრილში.

ფერადი ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა მრავალ ჭრილში ჩანს. სამხრეთ კახეთის ივრისპირა ზოლში ხდება ქვიშიანი წარმონაქმ-ნების სიმძლავრის თანდათანობით შემცირება და როგორც მთელი ზე-და სარმატის, ასევე ზღვიური დასტის სიმძლავრის გაზრდა. დ. ბულეი-შვილის მოსაზრებით ეილარ-ოუგის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის ჭრი-ლში თიხები მკვეთრად სჭარბობს ქვიშაქვებს. ზოგადად ზედა სარმა-ტის ჭრილი თიხებითაა წარმოდგენილი. ზღვიური ფაუნა შენარჩუნებუ-ლია სულ ზედა შრეებამდე, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ზღვიური დასტის სიმძლავრე – 550-600 გ.

ივრისპირა რაიონში ზედასარმატულის ზღვიური დასტის არსებობა დასტურდება ასევე უკანსქელ წლებში ჩატარებული ტარიბანის და ელდარის ჭაბურლილების კერნული მასალის მიკროპალეონტოლოგიური კვლევებით.

თავი II

პალინოლოგიური მეთოდის აღწერა

პალინოლოგიურ ანალიზს საფუძვლად უდევს მცენარეთა მტვრის მარცვლების უნარი შეინარჩუნოს ცალკეული ტაქსონებისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშან-თვისებები ნამარხ მდგომარეობაში. განამარხებული მტვრის მარცვლები განსაკუთრებით კარგად ინახება თიხიან ქანებში – ზღვიურშიც, კონტინენტურშიც (ტბიურში, ალუვიურში) და ტორფებში.

პალინოლოგიურ ანალიზის ჩატარების მიზნით, ამა თუ იმ ჭრილში ნიმუშებს იღებენ შრედაშრე, რაც საშუალებას გვაძლევს არა მარტო განვსაზღვროთ ნამარხი ფლორის შემადგენლობა, არამედ აღვადგინოთ მცენარეულობის ხასიათი და მისი დინამიკა დროში.

მტვრის მარცვლების გამოცალკევება ქანებიდან მოვახდინეთ პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში ვ. გრიჩუკის სეპარაციული მეთოდის გამოყენებით.

ლაბორატორიული სამუშაოები სამი ეტაპისაგან შედგება: პირველი და მეორე ეტაპები ქანის ქიმიურ დამუშავებას მოიცავს, რის შედეგადაც მიიღება ნამარხი მტვრის შემცველი ნალექი. მესამე ეტაპი მოიცავს მტვრის მარცვლების განსაზღვრას და ფოტოგრაფირებას მიკროსკოპის საშუალებით.

ანალიზის შედეგები ჯამდება პალინოლოგიურ ცხრილში, რომელშიც მოცემულია ყველ ნიმუშში მცენარეთა ცალკეული ჯგუფების პალინომორფების რაოდენობრივი ან პროცენტული შემცველობა (მერქნიანები, ბალახოვნები, სპოროვნები). შემდეგ ამ მონაცემების მიხედვით ვაღვენთ პალინოლოგიურ დიაგრამებს. დისერტაციაში მოტანილია ორი ტიპის დიაგრამა. III თავში, რომელიც ეძღვნება შესწავლილი ჭრილების პალინოლოგიურ დახასიათებას, მოტანილია ტრადიციული პალინოლოგიური დიაგრამები, რომლებიც ასახავენ მტვრის მარცვლების შემცვე-

ლობას, როგორც მცენარეთა 3 ძირითადი ჯგუფის, ასევე ცალკეული ტაქსონების. ასეთი დიაგრამები, ძირითადად, პალინოკომპლექსების ფლორისტულ შემადგენლობას ასახავენ.

უკანასკნელ ხანებში ი. შატილოვამ შემოგვთავაზა დიაგრამების მეორე ტიპი – კლიმატურ-ეკოლოგიური, რომელიც ასახავს მცენარეულობის ხასიათს. დიაგრამაზე ჯერ დაიტანება ხე-მცენარეების, ბალანსოვნების და სპოროვნების პროცენტული შემცველობა, შემდეგ – იმ მცენარეთა ცალკეული ჯგუფების მტვრის მარცვლების შემცველობა, რომლებიც გაერთიანებულია მათი კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების შესაბამისად. ასეთი დიაგრამები განსაკუთრებით ეფექტურია აღმოსავლეთ საქართველოსთვის, სადაც სარმატული მცენარეულობის განვითარების ეტაპების გამოყოფის მთავარი კრიტერიუმია ტყისა და ბალანსონი ცენოზების არეალთა ცვალებადობა, რაც, თავის მხრივ, პალინოსტრატიგრაფიის საფუძველს წარმოადგენს. ამ ტიპის დიაგრამები მოგრანილია დისერტაციის IV თავის მეორე ნაწილში, რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული მცენარეულობისა და კლიმატის რეკონსტრუქციას.

თავი III

შესწავლის ჰარიტოლოგის პალინოლოგიური დახასიათება

ქართლის ტერიტორიაზე შესწავლილი იყო ორი ჭრილი – მდ. არაგვის ხეობაში (არაგვი-ბებრისციხე) და ნადარბაზევის ხევში.

მდ. არაგვის (ბებრისციხე) ჭრილი. მცხეთის მიდამოებში (მდ. მდ. მტკვრის და არაგვის შესართავი, მდ. არაგვის ხეობა და ბებრისციხის მიმდებარე ტერიტორია) გაშიშვლებულია სარმატული ნალექები, რომლებიც თანხმობით აგრძელებენ კონკურ-ფოლადურ შრეებს.

უკანასკნელად სარმატული ნალექები ქ. მცხეთის მიდამოებში შესწავლილი იქნა კ. ქოიავას მიერ. ავტორი ჭრილის აღწერას იწყებს მდ. არაგვის ხეობიდან, სადაც ქვედასარმატული წარმოდგენილია მაკროფაუნის ნაშთების შემცველი თიხიან-ქვიშიანი ნალექებით. ქსირაძის და დ. ბულეიშვილის მონაცემებით აქ აღმოჩენილი და აღწერილია ქვედასარმატულისათვის დამახასიათებელი ორსაგდულიანები.

შუასარმატული ნალექები შიშვლდება მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ბებრისციხის მიდამოებში. ამ ადგილსაპოვრებიდან კ. ქოიავას მიერ აღწერილია ფორამინიფერების მდიდარი კომპლექსი, რომლის საფუძველზეც ავტორი შუასარმატულ ნალექებს პყოფს სამ ზონად: ქვედა, შუა და ზედა.

შუასარმატულის ზედა ნაწილი და ზედასარმატული არ შეიცავს ფაუნას. ამ ნალექების დათარიღება შეიძლება მხოლოდ სტრატიგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. კ. ქოიავას ვარაუდით, შუა და ზედასარმატულს შორის საზღვარი ამ ჭრილში უნდა გატარდეს კონგლომერატების ლინზების გამოჩენის მიხედვით, რაც სედიმენტაციის ციკლის ცვლილებაზე მიუთითებს.

პალინოლოგიური ანალიზისთვის აღებული იყო ნიმუშები სარმატულის სამივე ქვესართულიდან. დისერტაციაში მოცემულია იმ მცენარეთა სრული სია, რომელთა მტვრის მარცვლები და სპორები აღმოჩენილი იყო თითოეულ ნიმუშში.

ქვედასარმატულის პალინოკომპლექსები ხასიათდება ხე-მცენარეების მტვრის სიჭარბით. ბალახოვნები და სპოროვნები სპეციალური მცირე რაოდენობით გვხვდება. წიწვოვანთა შორის სჭარბობს ფიჭვი. მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობით და მდიდარი შემადგენლობით გამოირჩევა თერმოფილური წიწვოვნები, განსაკუთრებით გვარი *Podocarpus*. ფარულთესლიანი მცენარეებს შორის სჭარბობს სუბტროპიკული და ფოთოლმცვენი ფორმები. ბევრია *Castanopsis*, *Engelhardia*, *Platycarya*, *Carya*-ს და *Araliaceae*-ს ოჯახის წარმომადგენელთა მტვრის მარცვლები.

პალინოლოგიური კომპლექსების შემადგენლობის მიხედვით შუასარმატული შეიძლება დაკუთხოვთ სამ ნაწილად. ქვედა ხასიათდება მერქნიანი მცენარეების სიჭარბით. *Pinus*-ის მტვრის პროცენტული შემცველობა მერყეობს. ბევრია ნაძვის მტვერი. ბალახოვნების შემცველობა უმნიშვნელოა. შუასარმატულის შუა ნაწილი ხასიათდება ბალახოვნების მტვრის პროცენტული შემცველობის მატებით. შუასარმატულის ზედა ნაწილში მათი რაოდენობა მცირდება და ისევ სჭარბობს ხე-მცენარეების მტვრის მარცვლები.

ჭრილის ზედა ნაწილი, რომელიც შეესაბამება ზედასარმატულს ხასიათდება გალარიბებული პალინოსექტრებით. აქ შემცირებულია

მერქნიანების მტვრის მარცვლების პროცენტული შემცველობა, თუმცა მათ შორის ბევრია ფიჭვი. მატულობს ბალახოვნების როლი, მცირდება სუბტროპიკული ხე-მცენარეების მტვრისა და გვიმრანაირების სპორების რაოდენობა.

ამგვარად, არაგვი-ბებრისციხის ჭრილი, პალინოლოგიური მონაცემებით, შეიძლება დაიყოს ხუთ პალინოზონად (I-V). ძირითადი განხვავება პალინოზონებს შორის მდგომარეობს ხე-მცენარეებისა და ბალახოვანთა მტვრის მარცვლების შემცველობაში. ხე-მცენარეების ყველაზე დარიბი შემადგენლობა, ხოლო ბალახოვან მცენარეთა მაღალი პროცენტული შემცველობა აღინიშნება ზედასარმატულ ნალექებში.

ნადარბაზმის ჰარილი. ჩვენს მიერ შესწავლილი კიდევ ერთი საინტერესო ჭრილი მდებარეობს ნადარბაზევის ხევში (კასპის რ-ნი, სადგ. მეტები). კვერნაქის ქედის აღმოსავლეთით, ქვედასარმატული ნალექები აქ ტრანსგრესიულად არის განლაგებული უფრო ძველი ასაკის შრეების გადარცხილ ზედაპირზე.

დისერტაციაში მოყვანილია ქვედა და შუა სარმატულისათვის დამახასიათებელი ფაუნის სია.

პალინოლოგიური ანალიზისთვის შერჩეული იყო ნიმუშები ქვედა-, შუა- და ზედასარმატულიდან. დისერტაციაში მოცემულია იმ მცენარეთა საერთო სია, რომელთა მტვრის მარცვლები და სპორები შეგვედა თითოეული ქვესართულის ცალკეულ ნიმუშში.

სარმატული ნალექები, რომლებიც შიშვლდებიან ნადირბაზევის ხევში, პალინოლოგიური მონაცემებით ოთხ პალინოზონად შეიძლება დაგვოთ (I, II, IV და V).

I პალინოზონა მოცულობით შეესაბამება ქვედასარმატულს. ხასიათდება ფიჭვის, ნაძიის და სუბტროპიკული წიწვოვნების სიჭარბით. ფარულთესლიანებს შორის ჭარბობს სუბტროპიკული ჯიშების მტვერი. მდიდარი შემადგენლობით არის წარმოდგენილი გვიმრები. II პალინოზონა შეესაბამება შუასარმატულის ქვედა ნაწილს. გამოირჩევა კომპლექსის ყველაზე მდიდარი შემადგენლობით. მატულობს სუბტროპიკული წიწვოვნების როლი; სუბტროპიკული ფარულთესლიანების შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანი ხდება; მდიდრდება გვიმრების შემადგენლობა. III პალინოზონა, რომელიც წარმოდგენილი იყო არაგვი-ბე-

ბრისციხის ჭრილში და ხასიათდებოდა გაღარიბებული კომპლექსით, ნადარბაზევის ჭრილში არ ვლინდება. აქ შეასარმატულის ზედა ნაწილს ჩვენ ვაკუთვნებთ IV პალინოზონას, რომელიც II-საგან განსხვავდება რამდენადმე უფრო გაღარიბებული შემადგენლობით და კარგად მიესადაგება არაგვის ჭრილში გამოყოფილ IV პალინოზონას. V პალინოზონა – ზედასარმატული მკვეთრად განსხვავდება პალინოლოგიური კომპლექსის შემადგენლობით. მცირდება მერქნიანი მცენარეების მტკრის მარცვლების რაოდენობა, იზრდება ბალახოვნების შემცველობა. ერთეული სპორებითაა წარმოდგენილი გვიმრები.

დავითგარეჯის ჭრილი. კახეთში, ჩვენს მიერ შესწავლილ ჭრილებს შორის საინტერესოა დავითგარეჯის (უდაბნო) და სოფ. გომბორის ჭრილები. ქვემოთ მოგვყავს დავითგარეჯის ჭრილის აღწერა, სადაც სარმატული ორი ქვესართულით არის წარმოდგენილი (შეა და ზედა).

დისერტაციაში მოტანილია შეა სარმატულისათვის დამახასიათებელი ფაუნა, აღწერილი ქ. სირაძის და დ.ბულეიშვილის მიერ.

პალინოლოგიური ანალიზისთვის აღებული იყო ნიმუშები ორივე ქვესართულიდან. ნაშრომში მოტანილია იმ მცენარეთა სია, რომელთა მტკრის მარცვლები და სპორები შეგვხვდა დავითგარეჯის ჭრილის ნიმუშებში.

დავითგარეჯის (უდაბნო) ჭრილში შეასარმატული პალინოლოგიური მონაცემებით იყოფა სამ პალინოზონად (II-IV). მტკრის მარცვლებისა და სპორების მდიდარი შემადგენლობით გამოირჩევა ჭრილის ქვედა ნაწილი (II პალინოზონა). შედარებით უფრო გაღარიბებული პალინოსპექტრების შემადგენლობით ხასიათდება შეა ნაწილი (III პალინოზონა). შეასარმატულის ზედა ნაწილში პალონოსპექტრები ისევ მდიდარია მერქნიანი მცენარეების მტკრის მარცვლებით (IV პალინოზონა).

ზედასარმატული ხასიათდება ბალახოვანი მცენარეების მტკრის მარცვლების მაღალი შემცველობით (V პალინოზონა).

ბომბორის ჭრილი (უჯარმის მონაპვეთი). ჭრილი მდებარეობს თბილისი-გომბორის გზატაეცილის გასწვრივ, უჯარმის ციხის სამხრეთდასავლეთით. დისერტაციაში მოტანილია იმ მცენარეებთა სია, რომელთა მტკერი და სპორები აღმოჩნდა პალინოლოგიური ანალიზისთვის აღებულ ნიმუშებში.

გომბორის ჭრილი პალინოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ორ ნაწილად იყოფა. ქვედა ნაწილს, რომელიც ხასიათდება პალინომორფების მდიდარი სპექტრებით, ვაკუოვნებთ I-II ზონებს. ჭრილის ზედა ნაწილს, სადაც აღინიშნება ფიჭვისა და ბალახოვნების მტვრის მომატება, ვაკუოვნებთ V ზონას.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების პალინოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩვენს მიერ შესწავლილი ჭრილები ხუთ პალინოზონად (I-V) დავყოთ. თითოეული მათგანი ხასიათდება განსაზღვრული პალინოკომპლექსით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძირითადი ლადნშაფტიარმომქმნელი მცენარეების მტვრის მარცვლების შემადგენლობით (გამოყოფილი ზონების აღწერას ეძღვნება დისერტაციის V თავი).

დისერტაციაში მოგვაჭვს მცენარეთა სია, რომელთა სპორები და მტვრის მარცვლები ჩვენ განვსაზღვრეთ აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექებიდან. სულ განსაზღვრულია: 199 ფორმა, რომელიც მიეკუთვნება 129 გვარს და 88 ოჯახს. ყოველი ჭრილის აღწერას თან ერთვის პალინოლოგიური დიაგრამა, რომელიც ასახავს ცალკეული ტაქსონების პროცენტულ შემცველობას თითოეულ ნიმუშში.

თავი IV

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული საშპუნის ზღორა, მცენარეულობების და ჰაგა

ამ თავში გაანალიზებულია ლიტერატურული მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფლორის შესახებ, რომლებშიც განხილულია მცენარეთა მაკრონაშთების შესწავლის შედეგებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, შეკრებილი იქნა მდიდარი პალინოლოგიური მასალა ქართლის (ნადარბაზევი, არაგვი-ბებრისციხე) და კახეთის (გომბორი (უჯარმის მონაკვეთი), დავითგარეჯი) სარმატული ჭრილებიდან.

ამ თავში განხილულია სარმატული პალინოფლორისათვის დამახასიათებელი ფორმები, ასევე მათი სრული სია და ციფრული ცხრილი, რომელიც შედგენილია მცენარეთა მსხვილი ნაშთებისა და პალინოლო-

გიური მონაცემების მიხედვით, როგორც ვხედავთ, პალინოლოგიური მონაცემებით განსაზღვრულია ბევრად უფრო მეტი ტაქსონი, ვიდრე მცენარეების მსხვილი ნაშთებით. განსაკუთრებით დიდი განსხვავებაა სპოროვანი და წიწვოვანი მცენარეების შემადგენლობაში (იხ. ცხრილი).

**პალინომორფებისა (p) და მაკრონაშთების (m) მიხედვით
განსაზღვრული აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფლორის
ტაქსონების რაოდენობა**

| სისტემური გენერიკული ჟროგები | ფლორის საუძინო შემცირებულება | | სპოროვანი მცენარეები | | შემცირებული მცენარეები | | ფლორული თესლის მცენარეები | |
|------------------------------|------------------------------|----|----------------------|---|------------------------|---|---------------------------|----|
| | P | m | p | m | p | m | p | m |
| ფორმა | 210 | 90 | 49 | 3 | 35 | 5 | 126 | 82 |
| ბერი | 137 | 54 | 33 | 2 | 23 | 5 | 81 | 47 |
| ოჯახი | 93 | 34 | 21 | 2 | 9 | 3 | 63 | 29 |
| კლასი | 10 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 2 | 2 |

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სარმატულ საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატი, ზოგადად, სუბტროპიკული იყო. რაც შეეხება სინოტივეს, მისი განაწილება ამ რეგიონის მთელ ტერიტორიაზე არ იყო თანაბარი. ქართლი ხასიათდებოდა შედარებით დაბალი ტენიანობით, ვიდრე კახეთი, სადაც გაბატონებული იყო უფრო ტენიანი სუბტროპიკული ჰავა.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეულობა სარმატულ-ში ხასიათდება სუბტროპიკული და სითბოზომიერი ფორმების სიჭარბით და ზომიერი კლიმატის მცენარეების გაცილებით მცირე რაოდენობით. მცენარეულ საფარში მრავლად გვხვდება როგორც ხეშემფოთლიანი, ისე ტენიანი სუბტროპიკული ფორმაციები. პალინოლოგიური მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ამ დროს უპვე აშკარად ვლინდება გარკვეული განსხვავებები მცენარეულობის ხასიათში. ქართლში მცენარეული საფარის განვითარება მიმდინარეობდა შედარებით უფრო დიფერენცირებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ფონზე, რამაც შეასარმატულის შემდგომ გამოიწვია ტყის ფორმაციების შემცირება და უყტეო სივრცეების თანასაზოგადოებების არეალის გაფართოება. კახეთის ტერიტორიაზე ფორმაციების ცვლილებას ზედასარმატულში ასეთი მკვეთრი ხასიათი არ ჰქონია.

თავი V

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების დანაწილების კალინოლოგიური დასაბუთება

ამ თავში მოტანილი კლიმატურ-ეკოლოგიური ტიპის დიაგრამები, საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ მცენარეული საფარის ხასიათი და მისი დინამიკა. ამ დიაგრამებზე დატანილია მცენარეთა ჯგუფების პროცენტული შემცველობა, რომლებიც გაერთიანებული არიან მათი კლიმატურ-ეკოლოგიური მოთხოვნილებებისა და ცენოზური კუთვნილების მიხედვით. ასეთ ჯგუფებს წარმოადგენენ: ზომიერი ჰავის წიწვოვნები, თერმოფილური წიწვოვნები, სითბოზომიერი ფართოფოთლოვანი მცენარეები, სუბტროპიკული ფართოფოთლოვანი მცენარეები, სუბტროპიკული გვიმრები. მცენარეების უკანასკნელი ჯგუფი აერთიანებს ქსეროფიტულ ბალახებსა და ბუჩქებს. დიაგრამაზე ცალკეა დატანილი ფიჭვის, როგორც ინტრაზონალური მცენარის მტვრის მარცვლების შემცველობა, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა მცენარეულ დაჯგუფებში.

არაგვი-ბებრისციხის ჭრილის პალინოლოგიური დიაგრამის ანალიზი გვიჩვენებს მცენარეული საფარის დინამიკას ადრე-, შუა- და გვიან-სარმატულის განმავლობაში და საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ განვითარების ხუთი ეტაპი.

პირველი ეტაპი (I პალინოზონა) შეესაბამება ქვედასარმატულ შრეებს, რომელთა ასაკი დადგენილია მაკროფაუნის მონაცემებით. I პალინოზონის კომპლექსი მიუთითებს პოლიდომინანტური ტყეების ბატონობაზე, რომლებშიც ხარობდნენ სუბტროპიკული და სითბოზომიერი მცენარეები – გვიმრები, წიწვოვნები, ფართოფოთლოვნები. საკმაოდ დიდი ფართობი ეკავათ უტყეო ცენოზებსაც, ქსეროფიტული ბალახებისა და ბუჩქების მონაწილეობით. მსგავსი შემადგენლობის კომპლექსი გვხვდება ნადარბაზევისხევის ქვედასარმატულ ნალექებშიც. აქ I პალინოზონის ძირითადი ნიშნები კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული.

მცენარეულობის განვითარების I ეტაპი ჩვენ შევადარეთ აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფორამინიფერების განვითარების ეტაპებს (იხ. ნახ.). ლ. მაისურაძისა და კ. ქოიავას მონაცემებით, ქვედასარმატული ნალექები, ფორამინიფერების მიხედვით, იყოფა ორ ნაწილად: ქვედა და ზედა. ქვედა ნაწილი წარმოდგენილია ორი ფაციესით –

წყალმარჩხით, სადაც ძირითადად დომინირებული გვარი *Elphidium*-ის წარმომადგენლები და ღრმა წყლის ფაციესით. ავტორების მიხედვით, ორივე ფაციესი დამახასიათებელია *Variadentella reussi*-იანი შრეებისათვის და ასახავენ ფორამინიფერების განვითარების I ეტაპს.

